

დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #04-46

დანართი #3

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი



პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა :

მევენახეობა - მეღვინეობა

პროგრამის ხელმძღვანელი : რევაზ სანიკიძე

მცხეთა

2016

1. პროგრამის სახელწოდება: მევენახეობა-მელვინეობა

2. სარეგისტრაციო ნომერი 08105-პ

3. მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მევენახე-მელვინე, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. კურსდამთავრებული შეძლებს სანერგეში, ვენახში, მარანში/მელვინეობის ქარხანაში მუშაობას - ვენახის გაშენებასა და მოვლას, ყურძნის მოსავლის აღებასა და გადამამუშავებას, ღვინის მოვლის ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობას - შესაბამისი ტექნოლოგიური რუქებისა და პროცესების მიხედვით, აგროტექნოლოგიური ნორმების დაცვით. სამწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ მევენახე-მელვინე აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული ცოდნითა და უნარებით, გაეცნობა სფეროს ღირებულებებსა და ეთიკურ ნორმებს.

4. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საშუალო დონის მენეჯერად მევენახეობის მეურნეობაში, ღვინის საწარმოებში, მარანში, ფერმერულ მეურნეობაში, საკონსულტაციო/საინფორმაციო ცენტრებში, კომპანიებში კონსულტანტად, ასევე შეუძლია მართოს საკუთარი საოჯახო კომპანია, იმუშაოს საშუალო დონის მენეჯმენტის დონეზე ნებისმიერ სახელწიფო და კერძო კომპანიაში, რომლის საქმიანობა მევენახეობასა და მელვინეობას შეეხება.

5. პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები: მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა-მელვინეობაში

6. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

## 7. სტრუქტურა

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი

რაოდენობრივი წიგნიერება	2	გაცნობითი პრაქტიკა - მევენახე-მელვინისათვის	1		
კომუნიკაცია	3	პრაქტიკული პროექტი-მევენახე-მელვინისათვის	5		
უცხოური ენა	5	მევენახეობის ბიოლოგიურ-სამეურნეო საფუძვლები	4		
მეწარმეობა	5	ნიადაგი და ნიადაგის მოვლა	5		
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	ვაზის მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლა	3		
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	საწარმოს მართვა	6		
სამოქალაქო განათლება	2	ვენახის გაშენება და მოვლა	6		
ქართული ენა A2	15	ვაზის კვება	2		
ქართული ენა B1	15	სხვადასხვა ჯიშის ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით	5		

		ვენახისა და მარნის ტექნიკის მართვა, ტექნიკური მომსახურება და შენახვა	4		
		მოსავლის აღება და სასაქონლო დამუშავება	3		
		ყურძნის გადამუშავება და ვინიფიკაცია	6		
		ღვინის დამუშავების ქიმიური და მიკრობიოლოგიური საფუძვლები	3		
		ღვინის მოვლა	4		
		ღვინის ხარისხის შემოწმება, სარეალიზაციოდ მომზადება და რეალიზაცია	6		
		ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა	4		
		ყურძნისეული წარმოშობის სხვა პროდუქტების დამზადება	5		
		ღვინის დეგუსტაცია	2		
<b>სულ</b>	<b>52</b>	<b>სულ</b>	<b>74</b>	<b>სულ:</b>	

#### **8. სწავლის შედეგები პროფესიული სპეციალიზაციის/სპეციალიზაციების გათვალისწინებით**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სავაჭრო ნაკვეთის მომზადება და ვენახის გაშენება;
- ახალშენი და მსხმოიარე ვენახის მოვლა;
- ვენახის მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლის, ასევე ვაზის კვებაში პრობლემების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება;
- სტრესული ფაქტორების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
- სარწყავ-სადრენაჟო სისტემების ექსპლუატაცია და მოვლა;
- ყურძნის მოსავლის აღება და სასაქონლო დამუშავება;
- მეღვინეობის ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობა;
- ტექნოლოგიური სქემის მიხედვით ღვინის დამუშავება, ჩამოსასხმელი ხაზის მომზადება, ღვინის ჩამოსხმაში მონაწილეობა, პროდუქციის დასაწყობება, პროდუქციის რეკლამა და გაყიდვა;
- ღვინის მოვლის ტექნოლოგიური სქემების კონტროლი და მართვა;
- საშუალო ზომის საწარმოს მართვა, დაგეგმვა, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა.

#### **9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა. სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 67,85% სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

#### **10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტი მიენიჭება მიღწეული სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს მის ორ ტიპს:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

#### **11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მიენიჭება სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

#### **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

#### **13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები**

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

- პროფესიული სტანდარტი - მევენახე-მელვინე

#### **14. საავტორო უფლებები**

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი

პროგრამის დანართი 1 - სასწავლო გეგმა

პროგრამის დანართი 2 - მოდულის განმახორციელებელი პირები

პროგრამის დანართი 3 – 29 მოდულები